

შოთა რუსთაველის ეროვნული სამეცნიერო ფონდის პროექტის - „მორფოლოგიური და გენეტიკური პოლიმორფიზმი სამეგრელოს გვარსახელების მიხედვით“ (გრანტი FR-22-1932) ფარგლებში 2023 წლის 16 ივნისიდან 16 აგვისტომდე დაგეგმილია საველე-ეთნოგრაფიული ექსპედიცია სამეგრელოს რეგიონის ყველა მუნიციპალიტეტის სოფლებში. კერძოდ: ზუგდიდი (სოფლები: ყულიშკარი, ალერტ-კარი, კოკი, ჭკადუაში, კორცხელი), წალენჯიხა (სოფლები: ჯგალი, ობუკი), ჩხოროწყუ (სოფლები: ხაბუმე, მეხური, ჭოლა), სენაკი (სოფლები: მენჯი, ხორში, ძველი სენაკი), აბაშა (სოფლები: კეთილარი, გულეიკარი), მარტვილი (სოფლები: ხუნწი, ვედიდკარი, მუხურჩა), ხობი (თორსა-დღვაბა, ხეთა, ხამისკური).

საველე-ეთნოგრაფიულ ექსპედიციაში მონაწილეობენ: ინსტიტუტის ანთროპოლოგიური კვლევის ლაბორატორიის უფროსი მეცნიერი თანამშრომელი **დავით ჭითანავა** (პროექტის ხელმძღვანელი), მთავარი მეცნიერი თანამშრომელი **ლიანა ბითაძე** (პროექტის კოორდინატორი), მეცნიერი თანამშრომელი **შორენა ლალიაშვილი** (ძირითადი შემსრულებელი), **რამაზ შენგელია** (ძირითადი შემსრულებელი).

პროექტის მიზანია სამეგრელოს მოსახლეობის მორფოლოგიური და გენეტიკური პოლიმორფიზმის ინტერდისციპლინარული: ისტორიულ-ეთნოგრაფიული, დემოგრაფიული, ანთროპოლოგიური და გენეტიკური მონაცემების კვლევა გვარსახელების მიხედვით, რათა დადგენილ იქნას გვარსახელების ცვალებადობა დროში, მათი სიდიდის ან სიმცირის მიზეზები და ამ პროცესების გავლენა ანთროპოლოგიურ შემადგენლობასა და გენეტიკურ სტრუქტურაზე, ნამღევ, საშუალო და დიდ გვარად ჩამოყალიბებაზე.

საკვლევი მიზნიდან გამომდინარე, მისი განხორციელების ერთ-ერთი გზაა საველე-ეთნოგრაფიული მასალების მოპოვება მთლიანად სამეგრელოს რეგიონში: 1. ეკზოგამიისა და გვარებს შორის არსებული ქორწინების ფორმებზე, რაც გვამლევს ინფორმაციას გვარსახელთა ნათესაობის და მათი ისტორიული მახსოვრობის შესახებ; 2. სამეგრელოს ცალკეულ მუნიციპალიტეტში მოპოვებული საველე-ეთნოგრაფიული მასალების მიხედვით გვართა შიდა და გარემიგრაციული (მათ შორის ქორწინებითი მიგრაციის) პროცესების შესწავლა, რაც გვამლევს ინფორმაციას გენთა გაცვლაზე, ქორწინებით სტრუქტურაზე, მოსახლეობის დემოგრაფიულ პროფილზე, მიგრაციათა განმსაზღვრელ მიზეზებზე; 3. ქორწინებით მიგრაცია და გვარებს შორის ქორწინებითი უპირატესობა საკვანძო მომენტია, რომელიც ხსნის პოპულაციებს შორის არსებულ მორფოლოგიურ და გენეტიკურ დისტანციებს და პოლიმორფიზმს.